

სს „სილქ როლდ ბანკი“

ფინანსური ანგარიშგება

30.09.2018.წ

სს „სილქ როუდ ბანკი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

30 სექტემბერი 2018
(ლარებში)

	30.09.2018	31.12.2017
აქტივები		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13,110,409	15,973,404
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	10,148,254	2,272,784
კლიენტებზე გაცემული სესხები	13,429,452	6,432,674
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები:		
- გასაყიდად გამიზნული	20,000	20,000
- დაფარვის ვადამდე ფლობილი	1,510,615	1,808,562
- სესხები და მისაღები ანგარიშები	11,859,009	8,426,409
საინვესტიციო ქონება	763,208	638,127
ძირითადი საშუალებები	15,149,457	16,274,487
სხვა აქტივები	1,116,967	577,484
არამატერიალური აქტივები	46,003	57,306
მოგების საგადასახადო აქტივი	509,512	280,008
გასაყიდად არსებული აქტივები	5,597,764	5,806,232
სულ აქტივები	73,260,650	58,567,476
ვალდებულებები		
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე		-
სუბორდინირებული სესხი	9,498,901	9,076,428
ვალდებულებები კლიენტების წინაშე	23,538,177	15,463,121
მოგების გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	259,585	278,585
სხვა ვალდებულებები	1,050,843	691,293
სულ ვალდებულებები	34,347,506	25,509,428
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	40,000,000	30,000,000
მიწის და შენობების გადაფასების რეზერვი	5,320,732	5,320,732
გაუნაწილებელი მოგება	(6,407,588)	(2,262,684)
მთლიანი კაპიტალი	38,913,144	33,058,048
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	73,260,650	58,567,476

ფინანსური დირექტორი:

ნ.მერაბიშვილი

სს „სილქ როუდ ბანკი“

მოგება-ზარალის ანგარიშგება

30 სექტემბერი 2018
(ლარებში)

	30.09.2018	31.12.2017
საპროცენტო შემოსავალი	2,903,603	2,810,317
კლიენტებზე გაცემული სესხებიდან	2,035,840	1,008,150
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	303,415	455,735
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდებიდან	564,349	1,346,432
საპროცენტო ხარჯი	(473,269)	(631,519)
ვალდებულებები კლიენტების წინაშე	(112,105)	(354,433)
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	(361,164)	(277,086)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	2,430,334	2,178,798
სესხების გაუფასურების რეზერვი	(2,311,852)	(272,607)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხების გაუფასურების რეზერვის გათვალისწინებით	118,483	1,906,190
წმინდა საკომისიო შემოსავალი	335,956	404,303
წმინდა მოგება (ზარალი) უცხოური ვალუტიდან	330,955	390,950
წმინდა მოგება ქონების გადაფასებიდან	-	(51,359)
წმინდა ზარალი ქონების გაყიდვიდან	22,282	(873,257)
წმინდა მოგება/ზარალი დანაკარგების გასაყიდად არსებულ აქტივად რეკლასიფიკაციისას	-	(1,682,834)
სხვა შემოსავალი	261,252	598,025
არასაპროცენტო შემოსავალი	950,445	(1,214,172)
ბანკის პერსონალის ხარჯი	(1,397,971)	(2,034,401)
ადმინისტრაციული ხარჯები	(1,052,088)	(2,164,305)
სხვა საოპერაციო ხარჯები	(1,139,541)	(152,396)
ცვეთა და ამორტიზაცია	(421,466)	(601,295)
არასაპროცენტო ხარჯი	(4,011,066)	(4,952,397)
(ზარალი)/მოგება გადასახადით დაბეგვრამდე	(2,942,138)	(4,260,379)
მოგების გადასახადის სარგებელი / (ხარჯი)	(59,400)	(39,405)
წლის წმინდა მოგება	(3,001,538)	(4,299,784)

ფინანსური დირექტორი:

ნ.მერაბიშვილი

სს „სილქ როუდ ბანკი“

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

30 სექტემბერი 2018
(ლარებში)

	საწესდებო კაპიტალი	მიწის და შენობების გადაფასების რეზერვი	მოგება / ზარალი	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2016 წ.	30,000,000	5,149,937	1,860,808	37,010,745
				-
ბრუნვა 01.01.2017-31.12.2017.2017	-	-	(4,123,492)	(4,123,492)
				-
31 დეკემბერი 2017 წ.	30,000,000	5,320,732	(2,262,684)	33,058,048
				-
ბრუნვა 01.01.2018-30.09.2018	10,000,000	-	(738,854)	9,261,146
				-
30 სექტემბერი 2018 წ.	40,000,000	5,320,732	(3,001,538)	42,319,195

ფინანსური დირექტორი:

ნ.მერაბიშვილი

სს „სილქ როუდ ბანკი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
30 სექტემბერი 2018
(ლარებში)

	30.09.2018	31.12.2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მიღებული პროცენტი	2,903,603	3,069,134
გადახდილი პროცენტი	(473,269)	(648,682)
მიღებული საკომისიო	501,203	539,603
გადახდილი საკომისიო	(165,247)	(135,299)
უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციებიდან რეალიზებული წმინდა მოგება	330,955	294,468
სხვა მიღებული შემოსავლები	261,252	341,971
გადახდილი ხელფასები და თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები	(1,397,971)	(1,986,000)
გადახდილი სხვა საოპერაციო თანხები	(2,191,629)	(2,655,653)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული / საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი ნაკადები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე	(231,102)	(1,180,459)
<i>საოპერაციო აქტივების წმინდა ზრდა/კლება</i>		
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	(7,875,470)	9,951,188
კლიენტებზე გაცემული სესხები	(6,996,778)	1,187,886
სხვა აქტივები	(539,483)	16,833
<i>საოპერაციო ვალდებულებების წმინდა ზრდა/კლება</i>		
ვალდებულებები საკრედიტო დაწესებულებების წინაშე	3,502,050	(9,000,000)
ვალდებულებები კლიენტების წინაშე	4,573,006	(17,467,655)
სხვა ვალდებულებები	359,550	(111,803)
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(6,977,126)	(15,423,551)
<i>ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან</i>		
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების შეძენა	(3,134,654)	-
შემოსულობა ფასიანი ქაღალდების გამოსყიდვიდან	-	1,831,491
შემოსულობა/ზარალი ქონების გაყიდვიდან	22,282	1,244,470
არამატერიალური აქტივების შეძენა	-	(36,290)
ძირითადი საშუალებების შეძენა	(22,000)	(12,000)
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან	-	193,273
საინვესტიციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები	(3,134,371)	3,220,945
სუბორდინირებული სესხის მიღება	-	9,060,452
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	10,000,000	-
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული / გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	10,000,000	9,060,452
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებზე	(342,600)	175,958
ფულადი სახსრებისა და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/კლება	(2,862,995)	(4,146,656)
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები, პერიოდის დასაწყისში	15,973,404	20,120,060
ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები, პერიოდის ბოლოს	13,110,409	15,973,404

ფინანსური დირექტორი:

ნ.მერაბიშვილი

სს „სილქ როუდ ბანკის“ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

ძირითადი საქმიანობა

სს „სილქ როუდ ბანკი“ იმართება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ და თავის საქმიანობას ახორციელებს # 238 ლიცენზიის საფუძველზე: იღებს ანაბრებს მოსახლეობისგან, გაცემს სესხებს, ახორციელებს ფულად გადარიცხვებს საქართველოში და საზღვარგარეთ, აწარმოებს ვალუტის გაცვლით ოპერაციებს და თავის კორპორატიულ და საცალო კლიენტებს სთავაზობს სხვადასხვა საბანკო მომსახურებას. ბანკის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ზაარბრუკენის მოედანი, 2. 2018 წლის 30 სექტემბრის და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ბანკის აქციონერები არიან:

<i>აქციონერი</i>	<i>09.2018,%</i>	<i>12.2017,%</i>
ფინანსური ჯგუფი „სილქ როუდი“ (საქართველო)	99.99	99.99
სხვა	0.01	0.01
სულ	100.00	100.00

მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების“ (შემდეგში მოხსენიებული, როგორც „ფასს“) შესაბამისად და წარმოდგენილია ლარებში.

ფინანსური ინსტრუმენტების წარდგენა

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები კლასიფიცირებულია სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგებასა და ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, სესხებად და მოთხოვნებად, დაფარვის ვადამდე ფლობილ ფასიან ქაღალდებად ან გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად.

დაფარვის ვადამდე ფლობილი ინვესტიციები

არაწარმოებული ფინანსური აქტივები, რომლებსაც აქვთ ფიქსირებული ან განსაზღვრადი დაფარვების გრაფიკი და ფიქსირებული ვადა, კლასიფიცირდება, როგორც დაფარვის ვადამდე ფლობილი ფასიანი ქაღალდები, თუ ბანკს აქვს დაფარვის ვადამდე მათი ფლობის სურვილი და შესაძლებლობა.

სესხები და მისაღები ანგარიშები

სესხები და მისაღები ანგარიშები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით მოქმედი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოგებისა და ზარალის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება სესხების და მისაღები ანგარიშების აღიარების შეწყვეტის ან გაუფასურების შემთხვევაში, ასევე ამორტიზაციის პროცესში.

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები

გასაყიდად გამიზნული ფინანსური აქტივები ის არაწარმოებული ფინანსური აქტივებია, რომლებიც გამიზნულია გასაყიდად ან არ არის გათვალისწინებული რომელიმე ზემოხსენებულ კატეგორიაში.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფული და ფულადი სახსრების ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულის, ეროვნული ბანკისადმი მოთხოვნების (სავალდებულო რეზერვების გამოკლებით) და საკრედიტო დაწესებულებებისადმი მოთხოვნებისაგან, რომელთაც აქვთ გამოცემიდან 90 დღის ვადა და თავისუფალნი არიან საკონტრაქტო ვალდებულებებისაგან.

სავალდებულო რეზერვები საქართველოს ეროვნულ ბანკში

ბანკის სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტები საქართველოს ეროვნულ ბანკში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით და წარმოადგენს სარგებლის განაკვეთის მქონე სავალდებულო

სარეზერვო დეპოზიტებს, რომელთა გამოყენებაც ბანკის ყოველდღიური ოპერაციების დასაფინანსებლად არ არის ხელმისაწვდომი.

ფინანსური ვალდებულებები ნასესხები სახსრები

გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტები ან მათი კომპონენტები კლასიფიცირდება ვალდებულებების სახით მაშინ, როდესაც მფლობელის წინაშე საკონტრაქტო გარიგებების შედეგად ბანკს წარმოეშობა ვალდებულება, რომ გადაიხადოს ფული ან ფინანსური ინსტრუმენტი ან სხვაგვარად დააკმაყოფილოს ეს ვალდებულება. ამგვარი ინსტრუმენტები მოიცავს ვალდებულებებს ცენტრალური ბანკის, საკრედიტო დაწესებულებებისა და კლიენტების წინაშე.

ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ბანკი გასცემს კრედიტებთან დაკავშირებულ გარანტიებს, ძირითადად აკრედიტივებსა და ფინანსურ გარანტიებს. ასეთი გარანტიები არის ისეთივე საკრედიტო რისკის მატარებელი, როგორც - სესხები.

გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები, გარდა მიწისა და შენობებისა, აღრიცხულია თვითღირებულებით, გარდა ყოველდღიური მომსახურების ხარჯებისა, რასაც აკლდება აკუმულირებული ცვეთა და გაუფასურების მოცულობა. ამ თანხაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება, ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

	<u>წელი</u>
შენობა-ნაგებობები	50
ავეჯი და მოწყობილობები	4-10
კომპიუტერული ტექნიკა და საოფისე აღჭურვილობა	4-10
სატრანსპორტო საშუალებები	5
სხვა	4-10

აქტივების ნარჩენი ღირებულების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და მეთოდების გადახედვა და შესაბამისად კორექტირება საჭიროებისამებრ ხდება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ არ არსებობს მათი კაპიტალიზაციის საფუძველი.

საწესდებო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირებულია, როგორც კაპიტალი. ახალი აქციების გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული გარე ხარჯები, გარდა საწარმოთა გაერთიანებისთვის გამოშვებული აქციებისა, აღრიცხულია, როგორც გამოქვითვები კაპიტალის შემოსავლებიდან.

შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ბანკის მიერ ეკონომიკური სარგებლის მიღების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია შემოსავლის სათანადო სიზუსტით შეფასება.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს:

	<i>30.09.2018</i>	<i>31.12.2017</i>
საკორესპონდენტო ანგარიშები სებ-ში	664,871.00	500,473.00
90 დღემდე ვადიანი დეპოზიტი საკრედიტო დაწესებულებები		2,200,000.00
ნაღდი ფულის ნაშთი სალაროში	7,899,398.00	3,078,594.00
მიმდინარე ანგარიშები სხვა საკრედიტო დაწესებულებებში	10,148,254.00	10,278,364.00
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	18,712,523.00	16,018,444.00

მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ

	<i>30.09.2018</i>	<i>31.12.2017</i>
ვადიანი ანაზრები 90 დღეზე მეტი ვადით	0	0
სავალდებულო რეზერვები ცენტრალურ ბანკში	4,546,140.00	2,273,778.00
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	4,546,140.00	2,273,778.00

კლიენტებზე გაცემული სესხები

კლიენტებზე გაცემული სესხები მოიცავს:

	<i>30.09.2018</i>	<i>31.12.2017</i>
ფიზიკური პირები	9,156,576.00	4,130,135.00
ვაჭრობა და მომსახურეობა	4,614,403.00	1,304,319.00
ტრანსპორტი	1,019,708.00	1,355,000.00
მშენებლობა	1,997,401.00	0
სამთომომპოვებელი და გადამამუშავებელი	911,369.00	0
სხვა	455,177.00	789,495.00
კლიენტებზე გაცემული სესხები , სულ მინუს:	18,154,634.00	7,578,949.00
სესხების გაუფასურების რეზერვი კლიენტებზე	(4,725,182.00)	(1,501,867.00)
გაცემული წმინდა სესხები, სულ	13,429,452.00	6,432,674.00

საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები

დაფარვის ვადამდე ფლობილი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები მოიცავს:

	<i>30.09.2018</i>	<i>31.12.2017</i>
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები	1,510,615.00	1,808,562.00
დაფარვის ვადამდე ფლობილი ფასიანი ქაღალდები	1,510,615.00	1,808,562.00

საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც სესხებისა და მისაღები ანგარიშების კატეგორიაში შედის, მოიცავს შემდეგს:

	<i>30.09.2018</i>	<i>31.12.2017</i>
ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები	11,859,009.00	8,426,409.00
საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც სესხებისა და მისაღები ანგარიშების კატეგორიაში შედის	11,859,009.00	8,426,409.00

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები

შენობა-ნაგებობების საბალანსო ღირებულება:

	<u>30.09.2018</u>	<u>31.12.2017</u>
თვითღირებულება	20,553,887.00	20,131,065.00
დარიცხული ცვეთა და გადაფასება	(5,404,430.00)	(3,856,578.00)
ნარჩენი საბალანსო ღირებულება	<u>15,149,457.00</u>	<u>16,274,487.00</u>

არამატერიალური აქტივები 46,003.00 ლარის ოდენობით ძირითადად ლიცენზიებითა და კომპიუტერული პროგრამებითაა წარმოდგენილი.

სხვა აქტივები

2018 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით სხვა აქტივები შედგებოდა:

- ავანსები და დებიტორული დავალიანება - 1,116,967.00 ლარი,
- გასაყიდად არსებული აქტივები - 5,597,764.00 ლარი
- საგადასახადო აქტივები - 509,512.00 ლარი

ვალდებულებები კლიენტების წინაშე

	30.09.2018	31.12.2017
მიმდინარე ანგარიშები	18,756,085.84	10,879,059.00
ვადიანი ანაზრები	1,280,041.11	4,584,062.00
ნასესხები სახსრები	3,502,049.66	0.00
სულ,	23,538,176.61	15,463,121.00

კაპიტალი

საწესდებო კაპიტალი

2018 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, ბანკის საწესდებო კაპიტალი შედგებოდა 400,000 ნებადართული და მთლიანად განაღდებული აქციებისგან. თითო აქციის ნომინალური ღირებულება ასი ლარი იყო.

დივიდენდები

2017 და 2018 წლებში ბანკს დივიდენდები არ გამოუცხადებია და არც გადაუხდია.

გადაფასების რეზერვი

მიწისა და შენობა-ნაგებობების გადაფასების რეზერვი გამოიყენება მიწისა და შენობა-ნაგებობების სამართლიანი ღირებულების გაზრდის და შემცირებების აღრიცხვისათვის, იმ პირობით, თუ ამგვარი შემცირება უკავშირდება კაპიტალში ადრე ასახული იმავე აქტივის ზრდას.

პირობითი ვალდებულებები

2018 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით, ბანკის პირობითი ვალდებულებები შედგებოდა შემდეგისგან:

	<u>30.09.2018</u>	<u>31.12.2017</u>
საკრედიტო ვალდებულებები		
გამოუყენებელი სასესხო ვალდებულებები	232,441.00	117,221.00
გარანტიები	78,453.00	42,642.00
	<u>310,894.00</u>	<u>159,863.00</u>

**სს „სილქ როუდ ბანკის“ ინფორმაცია საბროკერო საქმიანობის ფარგლებში
განხორციელებული კლიენტების ტრანზაქციების ჯამურ რაოდენობაზე**

2018 წლის მესამე კვარტალში განხორციელდა 1 საბროკერო ტრანზაქცია. ტრანზაქციების ჯამურმა მოცულობამ შეადგინა 921,260.27 ლარი და 0 ცალი აქცია.

სს „სილქ როუდ ბანკის“
ფინანსური დირექტორი:

ნ.მერაბიშვილი

